რუსული ისტორიოგრაფია XIX საუკუნის შუაწლებში

სლავიანოფილების ისტორიული შეხედულებები

სლავიანოფილთა კონცეფციის ფირმირებისთვის თვალის მიდევნება საკმაოდ რთულია, რადგან მათი შეხედულებები ყალიბდებოდა დისკუსიებში, რომლებიც იშვიათად ხვდებოდა პრესის ფურცლებზე, ამასთან სლავიანოფილთა უმრავლესობა უფრო ფილოსოფოსი იყო ვიდრე ისტორიკოსი ანუ ისინი ძირითადად გავლენას ახდენდნენ მათზე ვინც ისტორიას წერდა, ხოლო თვითონ ნაკლებად მონაწილეობდნენ რუსეთის წარსულის აღწერის პროცესში.

ე.წ. ვალუევის კრებულის გამოსვლა იყო პირველი მცდელობა სლავიანოფილებს გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებები რუსეთის ისტორიაზე არა სალონურ კულუარებში არამედ საჯაროდ, პრესის ფურცლებზე. 1845 წელს ახალგაზრდა ისტორიკოსმა დიმიტრი ალექსანდრეს ძე ვალუევმა (1820-1845) გამოსცა რუსეთის შესახებ ისტორიული და სტატისტიკური ცნობების კრებულის პირველი ტომი (Сборник исторических и статистических сведений о России и народах ей единоверных и единомышленных). წინასიტყვაობაში გამომცემელი აღნიშნავდა, რომ პეტრე I-ის რეფორმებმა, რომელმაც რუსეთი ევროპეიზაციის გზით წაიყვანა ჩაიარა დიდებით და ბრწყინვალებით, რადგან თავისი დროისთვის იყო აუცილებელი და პროგრესული, მაგრამ ახლა რუსეთისთვის დგება ახალი ეპოქა და გარედან სესხების ნაცვლად საკუთარი თავი უნდა ,,გამოიძიოს''. თავისი დანიშნულების უკეთ გასაგებად რუსმა ხალხმა უნდა მიმართოს საკუთარი ხალხური წესების შესწავლას, დაუბრუნოს ავტორიტეტი მართლმადიდებელ რწმენას, შეისწავლოს სლავური სამყაროს ისტორია და ახლებურად გაიაზროს დასავლეთის ქვეყნების ისტორია.

სლავიანოფილური იდეის ადრეული ,,მქადაგებელი'' იყო ალექსეი სტეფანეს ძე ხომიაკოვი (1804-1860). (1820 წელს ჩააბარა მოსკოვის უნივერსიტეტში გამოცდა მათემატიკის მეცნიერების კანდიდატის ხარისხზე, 1822-25 წწ მსახურობდა საცხენოსნო გვარდიის პოლკში. 1827 წელს მონაწილეობდა საბერძნეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობაში).

ხომიაკოვმა საფუძვლიანად შეისწავლა ეკლესიის მამათა თხზულებები და ბრწყინვალედ ერკვეოდა საეკლესიო ისტორიაში. ეკლესია ხომიაკოვისთვის არსებობდა მხოლოდ მართლმადიდებლური, რომელსაც უპირისპირებდა კათოლიკობას და პროტესტანტიზმს. მისი აზრით პიროვნებამ, რომ თავისი თავი ,,გახსნას'' უნდა იყოს დაკავშირებული ეკლესიასთან. მისი აზრით დასავლეთის სულიერი სამყარო დაცემის და კრახისკენ წავიდა, კაცობრიობის განახლება შესაძლებელია მხოლოდ სლავიანობის სულიერი და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანობის ზეიმის გზით. ცივილიზაციის განახლება სულიერი საშუალებებით იყო ხომიაკოვის მიხედვით რუსული სიდიადის და რუსეთის მესიანური როლის ,,საიდუმლო''.

უნდა აღინიშნოს, რომ ხომიაკოვი სრულად არ უარყოფდა დასავლეთს, ამბობდა, რომ დასავლეთი მიდის იგივე მიზნისკენ, რისკენაც სლავური სამყარო, მაგრამ უფრო რთული, და გრძელი გზით. ერთგვარი მფარველური დამოკიდებულება ევროპისადმი შეპარულია ხომიაკოვის სრულიად ფანტასტიკურ გამონათქვამში ინგლისელების სლავური წარმომავლობის შესახებ.

ხომიაკოვს თავის მასწავლებლად თვლიდა იური ფიოდორის ძე სამარინი (1819-1876), რომელიც ახლოს იყო იმ აზრთან, რომ რუსეთის ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესია

გამოდიოდა რუსეთის განვითარების გარანტად, მიყავდა ქვეყანა ჭეშმარიტი გზით. დაიცვა დისერტაცია 1844 წელს თემაზე ,,სტეფანე იავორსკი და თეოფანე პროკოპოვიჩი''. შემდეგ ჩამოშორდა სამეცნიერო საქმიანობას გახდა ჩინოვნიკი, თუმცა შეხედულებები არ შეუცვლია.

ხომიაკოვთან ერთად სლავიანოფილების პირველი წარმომადგენელი იყო ივანე ვასილის ძე კირეევსკი (1806-1856). მისი მამული შვიდი ვერსით იყო დაშორებული ოპტინელთა უდაბნოდან, მფლობელი ხშირად ნახულობდა ხუცებს და განიმსჭვალა ღრმა რწმენით. შემთხვევითი არ არის ის, რომ მის ნააზრევში პირველ ადგილზე იდგა მართლმადიდებლობის იდეა.

ყველაზე სრულად კირეევსკის კონცეფცია მოცემულია 1852 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში რომელიც ეხება ევროპულ განმანათლებლობას და მის დამოკიდებულებას რუსულთან. (О характере просвешения в Европе и его отношении к просвешению России). რუსეთის და დასავლეთის წინააღმდეგობები ავტორს, ხომიაკოვის მსგავსად გადაჰყავდა სულერ სიბრტყეში (სულერი საწყისების სხვაობაში). აღმოსავლეთში ის გამოიხატებოდა მისტიკურ-ჭვრეტითი საწყისის ბატონობაში, რომელიც გრძნობაზე იყო დამყარებული, დასავლეთში პირველ ადგილზე იდგა გონება, კრიტიციზმი. მშრალი ლოგიკა და გულისხმიერების უკმარისობა გახდა დასავლეთის ხალხების პოლიტიკური ისტორიისთვის დამახასიათებელი. კირეევსკი უახლოვდებოდა გერმანელ რომანტიკოსებს (შელდინგი), პირველ ადგილზე ისტორიაში აყენებდა გრძნობას და რწმენას. სწორედ ეს გრძნობები ავითარებს რუსეთს და სლავებს. სლავიანოფილური იდეების მატარებელი იყო ივანე ვასილის ძის უმცროსი ძმა პეტრე ვასილის ძე კირეევსკიც (1808-1856), მართალია ხასიათით ის იყო უფრო ჩაკეტილი ადამიანი და სახელი გაითქვა ძირითადად, როგორც სახალხო სიმღერების შემგროვებელმა. სლავიანოფილური იდეების ერთ-ერთი ყველაზე აშკარა პროპაგანდისტი იყო **კონსტანტინე სერგეის ძე აკსაკოვი** (1817-1860) (იმ დონემდე იყო გამსჭვალული ეროვნული სულისკვეთებით, რომ წვერიც მოუშვა და დადიოდა ჩექმებში და წითელ რუსულ ხალათში). აკსაკოვის სოციალ-პოლიტიკური კონცეფიცია იყო საკმაოდ ფრთხილი. თანამედროვეთა შორის მსგავსი შეხედულებების ადამიანებს უწოდებდნენ ,,არქეოლოგიურ ლიბერალებს''.

თავის სტატიებში (რუსული ისტორიის ძირითადი საწყისის შესახებ; რუსული ისტორიის შესახებ) ის ასე განსაზღვრავდა ხალხის და სახელმწიფოს ფუნქციებს: ,,განუსაზღვრელი ხელისუფლება - მეფეს, სიცოცხლის და სულიერების სრული თავისუფლება - ხალხს, მოქმედების და კანონების თავისუფლება– მეფეს, აზრის და სიტყვის თავისუფლება –ხალხს'' აქედან ,,ორი მამოძრავებელი ძალა და პირობა მთელი რუსული ისტორიის, მიწა და სახელმწიფო''.

თავის ისტორიულ კონცეფციას აკსაკოვი რუსეთისა და დასავლეთის ცხოვრების საწყისებს შორის ღრმა და პრინციპულ სხვაობაზე აგებდა. ჯერ ერთი ესაა – თემი (Община). თავდაპირველი ინსტიტუტი რომანულ და გერმანულ ხალხში არის პატრიარქალური გვარი, ხოლო რუსებში - ოჯახი და თემი. ,,თემი- ის უმაღლესი და ნამდვილი საწყისია ... /რომელიც/ უნდა წარემატოს, გასუფთავდეს და ამაღლდეს''. რუსეთის ისტორიის განვითარება –ესაა თემის თანდათანობითი გაფართოება მთელი სახელმწიფოს საზღვრებამდე, პატარა სასოფლო თემების შენარჩუნებით.

მეორე- მართლმადიდებლობა. თავისუფლების ჭეშმარიტად ქრისტიანული სული დამახასიათებელია მხოლოდ რუსული მართლმადიდებლობისთვის, განსხვავებით დასავლური კათოლიციზმის და პროტესტანტიზმისგან.

ბოლოს - ხალხი და სახელმწიფო. დასავლეთში სახელმწიფოსა და ხალხის ბრძოლას, რუსეთში მეფის და ხალხის ერთიანობის პრინციპი უპირისპირდება. დასავლეთში სახელმწიფო შთანთქავდა ხალხს, ხალხი ცდილობდა ხელში ჩაეგდო სახელმწიფოს ფუნქციები (აქედან კონსტიტუცია და რევოლუცია) რუსეთში მიწა და სახელმწიფო არსებობდა ცალ-ცალკე და ჰარმონიულად. უმაღლესი სამართალი რუსეთში ყოველთვის ეკუთვნის ხელმწიფეს, ხოლო შიდა სამართალი მიწას. ,,რუსი ხალხი ძირითადად არის არასახელმწიფო ხალხი ანუ არ მიილტვის სახელმწიფო ხელისუფლებისკენ, არ სურს თავისთვის პოლიტიკური უფლებები, არ აქვს თავის თავში იოტისოდენა ხელისუფლებისადმი სიყვარული'' ,,რუსეთი-ქვეყანაა სრულად თვითმყოფადი'' წერდა აკსაკოვი. პრინციპული სხვაობა დასავლეთის ისტორიისგან ჩანს უკვე რუსული სახელმწიფოს შექმის ფაქტში: IX საუკუნემდე სლავებთან არსებობდა საერთო საცხოვრისის არასახელმწიფო ფორმა, მაგრამ გარე საფრთხეებმა და შინაგანმა არასრულყოფილებამ აიძულა სლავები ,,თავის დასაცავად მიემართათ სახელმწიფო ფორმისთვის''. აკსაკოვი ამტკიცებდა, რომ არავისი ისტორია ასე არ დაწყებულა, მხოლოდ რუსული სახელმწიფო გაჩნდა ვარიაგი თავადების ნებაყოფლობითი მოწვევის გზით, სხვა ხალხთან კი შეიქმნა დაპყრობების შედეგად. მოაზროვნის სიტყვებით ,,სლავები არ ჰქმნიან თავისით სახელმწიფოს, ისინი იწვევენ სხვას . . . არ ურევენ მიწას და სახელმწიფოს, მიმართავენ რა უკანასკნელს როგორც აუცილებლობას პირველის დასაცავად''. მთავრების მოწვევის შემდეგ ხალხი და ხელისუფლება განაგრძობენ არსებობას როგორც ცალკე, მაგრამ მეგობრული მოკავშირე ძალები''.

რუსული ისტორიული ცხოვრების საწყისი დაანგრია პეტრე I-მა. აკსაკოვის აზრით რუსეთმა პეტრეს დროს უცნაურად და ძალდატანებით დატოვა მშობლიური გზა და მიემხრო დასავლურს. აკსაკოვი გვთავაზობდა რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციას დედაქალაქების მიხედვით: კიევის, ვლადიმირის, მოსკოვის, პეტერბურგის პერიოდებად. ამასთან პირველი სამი ეპოქა რადიკალურად განსხვავდება მეოთხისგან, ეს უკანასკნელი პერიოდი ხელოვნურია და ა.შ.

უარყოფითი დამოკიდებულება პეტრე I-ის მიმართ საერთოდაა დამახასიათებელი სლავიანოფილებისთვის თუმცა გამონაკლისიც იყო.

ყველაზე ცნობილი პროფესიონალი ისტორიკოსი, ახალ სლავიანოფილებთან იყო ივანე დიმიტრის ძე ბელიაევი (1810-1873). ის იყო პოგოდინის მოსწავლე, 1852 წელს მოიწვიეს მოსკოვის უნივერსიტეტში რუსული კანონმდებლობის ისტორიის კათედრაზე. ამუშავებდა რა ლექციების კურსს რუსული სამართლის ისტორიაში, სწავლული ამოდიოდა იქიდან, რომ კავშირი კანონსა და ხალხის შინაგან ისტორიულ ცხოვრებას შორის ისე განუყოფელია, რომ კანონმდებლობის შესწავლა ვერ იქნება სრულად გასაგები ხალხის ცხოვრების შესწავლის გარეშე''.

თავისი სადოქტორო დისერტაცია ბელიაევმა მიუძღვნა გლეხობის ისტორიას. მასში დიდი ყურადღება ეთმობა საკითხს ბატონყმურ სამართალზე, რომლის ევოლუციას ბელიაევი აკვირდება მიწაზე გლეხის მიბმიდან XVI-XVII ბოლოს პირად დაყმევებამდე, პეტრეს რეფორმების შედეგად.

ბატონყმობისადმი დამოკიდებულება სლავიანოფილებთან იყო მკვეთრად უარყოფითი. გლეხობის თემა ბელიაევთან ერთად ჟღერდა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პოპოვის (1821-1877) ნაშრომებში, რომელმაც გამოქვეყნა დოკუმენტების კრებული სახელით ,,Материалы для возмушения Стеньки Разина" და ნაშრომი ,,Бунт Степана Разина". გლეხთა მოძრაობის რაიმე განსაკუთრებული შეფასება მათში არ ყოფილა, რამდენადაც სლავიანოფილების აზრით, რუსეთის ისტორიაში პოლიტიკური ბუნტები ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით არ იყო დამახასიათებელი და გლეხთა გამოსვლები (არეულობა, რაზინოვშინა, პუგაჩოვშინა) რომელსაც იყენებდნენ თვითმარქვიები, მიმართული იყო ,,ნამდვილი ხელმწიფისთვის" ხელისუფლების დაბრუნებისკენ თუ ხალხის წარმოდგენაში ხელისუფლება იყო არაკანონიერი.

გლეხთა თემატიკის გარდა ბელიაევს სლავიანოფილებთან აახლოებდა ერობის თემისადმი ინტერესი. ისტორიკოსის გამოკვლევები: ,,საერო კრებები რუსეთში" (Земские соборы на Руси) და ,,ერობების და საერო საწყისის ბედი რუსეთში" (Судьбы земщины и земского начала на Руси) შემთხვევითობის შედეგია. საქმე იმაშია, რომ დიდმა თავადმა ელენა პავლეს ასულმა ი. სამარინს შესთავაზა შეექმნა ნაშრომი წარმომადგენლობითი დაწესებულებების შესახებ (О начатках представительских учреждений на Руси). ამ უკანასკნელმა შეადგინა მომავალი ნაშრომის გეგმა, მაგრამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ დაიწყო მასზე მუშაობა, გადაამისამართა ეს თხოვნა ი. ბელიაევთან, რომელმაც შეასრულა დავალება.

ბოლოს სლავიანოფილების ისტორიულ იდეების შესახებ საუბრისას შეიძლება ითქვას, რომ გამოყოფა რუსეთის ისტორიის რაიმე ერთიანი კონცეფციის ძალზე ძნელია. სლავიანოფილობა არ იყო მკაფიოდ დადგენილი მოვლენა რუსულ ფილოსოფიაში. ქვაკუთხედი სლავიანოფილების იდეოლოგიაში იყო მართლმადიდებლობა, რუსული თემი, დასავლეთის და რუსეთის შეპირისპირება. სლავიანოფილებს არ შეუმუშავებიათ ერთიანი ისტორიული კონცეფცია.

გვიანი სლავიანოფილები. ნიკოლოზ დანილევსკი (1822-1885).

ნ. დანილევსკი დაიბადა 1822 წლის 27 ნოემბერს, სოფელ ობერეცში ორლოვის გუბერნიაში, წარჩინებულ ოჯახში. თავდაპირველი განათლება ახალგაზრდამ მიიღო ოჯახში, ხოლო 1836 წელს ცარსკოე სელოს ლიცეუმში განაგრძო სწავლა, ამის შემდეგ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება და 1843 წელს ჩაეწერა თავისუფალ მსმენელად პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მუშაობდა სამაგისტრო დისერტაციაზე, ამასთან არ შეუწყვეტია გატაცება ფილოსოფიით, შედიოდა მ. პეტრუშევსკის წრეში და 1848 წელს დააპატიმრეს კიდეც. თავიდან გაამწესეს ვოლოგდაში, შემდეგ გადაიყვანეს სამარის გუბერნიაში.

დანილევსკი არ იყო პროფესიონალი ისტორიკოსი, მაგრამ მისმა ნაშრომმა ,,რუსეთი და ევროპა" დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის წარსულის შესწავლაში. 1869 წელს ის იბეჭდებოდა ჟურნალში ,,ზარია"-ში. 1871 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. მასში იყო მსოფლიო ისტორიული პროცესის ორიგინალური კონცეფცია. ავტორი უარს ამბობდა ტრადიციულ დაყოფაზე მსოფლიო ისტორიის ძველი, შუა საუკუნეების, ახალ და უახლეს ისტორიებად, ხედავდა რა ამაში გაუმართლებელი ევროპაცენტრიზმის გამოვლინებას. დანილევსკის აზრით, ცალსახა ევოლუციური პროცესი კაცობრიობის განვითარებაში არ არსებობს, საუბარი უნდა იყოს არა რაიმე მაგისტრალურ ისტორიულ გზაზე არამედ კულტურულ ისტორიულ ტიპზე, რომელსაც

თავისი აყვავების პერიოდში ბადებს ცივილიზაციები, იმის გათვალისწინებით რომ ყველა ხალხები გადიან დაბადების, ზრდის, აყვავების და განლევის სტადიებს. (კაცობრიობის განვითარებაში პროგრესი მდგომარეობს არა იმაში, რომ ყველა ერთი მიმართულებით მიდოდეს. . . .)

დანილევსკი საუბრობდა ათ კულტურულ ისტორიულ ტიპზე, გამოყოფდა რა მათ განვითარებაში უპირატეს ასპექტებს, რელიგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას: 1) ეგვიპტური, 2) ჩინური, 3) ასურულ-ბაბილონურ ფინიკიურ ქალდეური ან ძველ სემიტური 4) ინდური 5) ირანული 6) ებრაული 7) ბერძნული 8) რომაული 9) ახალ სემიტური ან არაბული 10) გერმანულ-რომანული ან ევროპული.

შემდეგი კულუტურულ ისტორიული ტიპი დანილევსკის აზრით შეიძლება ყოფილიყო სლავური, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა ყველა ოთხ საფუძველს (რელიგიური, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური), მაგრამ მის ჩამოყალიბებას ხელს უშლის დასავლეთის მტრული დამოკიდებულება. ამიტომ რათა გადარჩეს და არ დაკარგოს კულტურული თავისებურება, სლავური სამყარო უნდა გაერთიანდეს ფედერაციაში, დედაქალაქით კონსტანტინოპოლში, რომლის საფუძველი შეიძლება გახდეს მძლავრი რუსული სახელმწიფო. ყველა სლავისთვის, წერდა დანილევსკი იქნება რუსი, ჩეხი, სერბი, ხორვატი, სლოვენი, ბულგარელი, ღმერთის და მისი წმინდა ეკლესიის შემდეგ სლავიანოფილური იდეა უნდა იყოს უმაღლესი იდეა, თავისუფლებაზე, მეცნიერებაზე, განათლებაზე, ყველა მიწიერ სიკეთეზე მაღლა მდგომი. დანილევსკის იდეა კულტურულ ისტორიული ტიპების შესახებ გაიაზრეს ყველა სკოლის და მიმართულების ისტორიკოსებმა.

<u>მედასავლეთეები. ,,სახელმწიფო სკოლის" ჩამოყალიბება რუსულ ისტორიოგრაფიაში.</u>

XIX საუკუნის შუაწლებში რუსულ ისტორიოგრაფიაში ჩამოიყალიბდა განსაკუთრებული მიმართულება, რომელსაც დაერქვა სახელმწიფო სკოლა ან ისტორიულ-იურიდიული მიმართულება. ამ მიმართულების ინტერესების ცენტრში იყო მოქცეული სახელმწიფო ხელისუფლება როგორც ქმნილებათა გვირგვინი, საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი და საბოლოო მიზანი. რუსეთის ისტორიის კონკრეტული საკითხების გაშუქებისას არსებითი განსხვავების მიუხედავად სახელმწიფო სკოლის წარმომადგენლებს აერთიანებდა იდეა ისტორიულ პროცესის ამოსვლისა გვარიდან სახელმწიფოსკენ. ამ იდეას საფუძვლად დაედო ჰეგელის ფილოსოფია, რომლის თანახმად ,,ობიექტური სული" გახდა რა ,,ზნეობრივი სული" გადის თავისი განვითარების სამ სტადიას. პირველი: ოჯახი, დამყარებული ბუნებრივ გრძნობაზე, მეორე: სამოქალაქო საზოგადოება მესამე: სახელმწიფო, რომელშიც განსხეულდება ხალხის ცნობიერება და ნება როგორც ერთი მთლიანი".

,,სახელმწიფო სკოლის" დამაარსებელები არიან კონსტანტინე დიმიტრის ძე კაველინი და ბორის ნიკოლოზის ძე ჩიჩერინი. მათ გარდა ახალი მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლებს მიაკუთვნებენ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებს ტიმოთე ნიკოლოზის ძე გრანოვსკის, პეტრე ნიკოლოზის ძე კუდრიავცევს და სერგეი მიხეილის ძე სოლოვიოვს.

გრანოვსკი და კუდრიავცევი იყვნენ მსოფლიო ისტორიის პროფესორები მოსკოვის უნივერსიტეტში, მათი გავლენა ისტორიოგრაფიაში უფრო პიროვნულია ვიდრე თემატური. გრანოვსკის მაღალ შეფასებას აძლევდნენ გერცენი და ჩერნიშევსკი.

გრანოვსკისთან ისტორიული პროცესის გაგების ამოსავალი თეზისი მდგომაროებდა იმაში, რომ აბსოლუტური სულის განხორციელება არის ხალხი - ისტორიული განვითარების ძირითადი ძალა. აბსოლუტი გამოვლინდება როგორც ,,სახალხო სული". სახალხო სული ძირითად გამოვლენას პოულობს ისტორიული ცხოვრების ორ სფეროში სახელმწიფოსა და ეკლესიაში. სახელმწიფო კურთხეული რელიგიით, როგორც სახალხო სულის უმაღლესი გამოვლინება, გრანოვსკის ისტორიულ სქემაში ისტორიული მოღვაწეობის ერთგვარ მიზნად იქცეოდა.

კონსტანტინე დიმიტრის ძე კაველინი (1818-1885). მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ კაველინის ძირითადად სპეციალობად იქცა სამოქალაქო სამართალი და სამართალწარმოება. 1844 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია რუსული სამართალმოწყობის ძირითადი საწყისებზე და სამოქალაქო სამართალწარმოებაზე, (,,Основные начала русского судоустройства и гражданского судопроизводства в период времени от Уложения до Учреждения о губерниях") და რუსული კანონმდებლობის ისტორიის კათედრაზე დატოვებულ იქნა ადიუნქტის თანამდებობაზე. 1844-1848 წწ. ახალგაზრდა მეცნიერი კითხულობდა ლექციებს რუსული სამართლის ისტორიის შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ პეტერბურგში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სამხედრო სასწავლო დაწესებულების შტაბში, 1857 წელს მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე, მაგრამ 1861 წელს სტუდენტური მღელვარებების დროს იქიდან წამოვიდა და ორი წლით საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1864 წელს კაველინი მოეწყო იურისტკონსულტად ფინანსთა სამინისტროში, ბოლოს 1878 წელს მიიღო სამოქალაქო სამართლის კათედრა სამხედრო იურიდიულ აკადემიაში და კვლავ დაუბრუნდა სასწავლო პროცესს.

ისტორიკოსი როგორც განათლებიდან ჩანს კაველინი არ ყოფილა, ამიტომ ღრმად კონკრეტული თემების კვლევაში არ ჩადიოდა, მიმართავდა უფრო თეორიულ საკითხებს, ფილოსოფიურ მსჯელობებს რუსეთის ისტორიის შესახებ. ეს აისახა მისი სტატიების ხასიათზეც. ,,Взгляд на юридический быт древней Руси" (1846) ,,Краткий взгляд на русскую историю" (1864) ,,Мысли и заметки о русской истории" (1866).

ისტორიული განვითარების მთელი პროცესი კაველინს დაჰყავდა სამ ეტაპამდე: პირველი ხასიათდებოდა გვაროვნული ურთიერთობების, მეორე სამამულო (ვოტჩინური), მესამე – სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ბატონობით. ამ სქემის მიხედვით რუსეთში გვაროვნული (სისხლით ნათესაური) საწყისის რღვევა იწვევდა უშუალოდ, შინაგანი განვითარების ძალით, ტერიტორიული თემების შექმნას და ვოტჩინური მფლობელობის გაჩენას. მსგავსი სახით შემდგომში მიწების თანმიმდევრული შეკრების პროცესში შეიქმნა დიდი მამული (ვოტჩინა) - მოსკოვის სახელმწიფო. უკვე ივანე III და ივანე მრისხანეს დროს ,,ველიკოკნიაჟესკი ვოტჩინის" ქვეშ იმზირებოდა სახელმწიფო, მაგრამ საბოლოდ სახელმწიფოს გამარჯვება დაკავშირებული იყო პეტრეს რეფორმებთან.

ამრიგად რუსეთის განვითარების კაველინისეული სქემა გვარიდან სახელმწიფოსკენ მოიცავს ოთხ საფეხურს: 1) გვარი და თემი (საერთო მფლობელობა) კიევის რუსეთის შექმნამდე 2) ოჯახი და მამული (ვოტჩინა) (კერძო მფლობელობა) როცა რიურიკოვიჩთა დინასტია ფლობს რუსულ მიწებს, მაგრამ შემდეგ ის ირღვევა ცალკეულ საოჯახო მამულებად, რომლებიც კვლავ იკრიბება მოსკოვის სახელმწიფოში- რიურიკოვიჩების ახალ ერთიან მამულში (ვოტჩინაში). 3)

სახელმწიფო და პიროვნულობის ჩანასახი, მოსკოვის სამეფოს დრო 4) პეტრეს რეფორმები და პიროვნულობის დასაწყისი.

ისტორიული მოღვაწეებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას კაველინი უთმობდა ივანე IV-ს და პეტრე I-ს. ამასთან მრისხანის შეფასება შორს იყო ამ მეფის გაკიცხვისგან. სწავლული თანაუგრძნობდა მას თვითმპყრობელობის დასამყარებლად ბოიარებთან გეგმაზომიერ ბრძოლაში. პეტრეს და ივანეს შეპირისპირებისას კაველინი წერდა, რომ ორივეს თანაბრად ესმოდა სახელმწიფოს იდეა და იყვნენ მისი ღირსეული წარმომადგენლები, მაგრამ იოანეს ესმოდა ის როგორც პოეტს, პეტრე დიდს კი როგორც პრაქტიკოსს. სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა რუსეთის ისტორიაში. ეს არ არის მხოლოდ საზოგადოების ბუნებრივი და კანონზომიერი განვითარების შედეგი, ესაა რუსი ხალხის ზნეობრივი ძალის ხორცშესხმა. რუსეთის ისტორიის განვითარების კანონზომიერებების აღიარებასთან ერთად, კაველინს ჩამოუყალიბდა იდეა, რუსული ცხოვრების თვითმყოფადობის შესახებ. ის ხაზს უსვამდა ,,ღრმა, სრულ სხვაობას" რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიებს შორის, რომელშიც არ არის ,,არცერთი შტრიხი მსგავსების თუმცა ბევრი საპირისპირო". რუსეთში რომელსაც არ ჰქონდა ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და კულტურული ფორმები, ეროვნულობის ადგილი დაიკავა მართლამდიდებლობამ. ეკლესია რუსებთან იქცა დაწესებულებად, რომელიც ახდენს სახელმწიფო და პოლიტიკური ფორმების ორგანიზებას. მისი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა რუსული ეროვნული თვითშეგნება. რუსეთის ისტორია ეს არის თვითმყოფადი ევროპული სახელმწიფოს ისტორია, რომელიც იყო ასეთი პეტრე I-ის რეფორმებამდე და დარჩა მის შემდეგაც. (ეს იდეები კაველინს აახლოებდა სლავიანოფილებთან).

კაველინის მიხედვით ,,რუსეთი გლეხური სახელმწიფოა... სახალხო მასები ჩვენთან ჯერ არ ფორმირებულა, არ დამჯდარა, ის ფორმირების პროცესშია, ეს არის ერთგვარი ეთნოგრაფიული პროტოპლაზმა". ასეთ სიტუაციაში ისტორიის მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო და გარდა ძლიერი მონარქიული ხელისუფლებისა სხვა ხელისუფლება რუსეთში არ შეიძლება იყოს." ,,მეფე ველიკორუსი ხალხის წარმოდგენაში არის სახელმწიფოს ხორცშესხმა" ის არის მიწის ბუნებრივი პატრონი დანარჩენები მისი ნაშიერები და ყმები. მონარქი უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისთვის, პასუხად ეს ხალხი უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს. ასე რუსეთში ჩამოყალიბდა ბატონყმობა, მაგრამ ეს იძულებით არ შექმნილა, არამედ აუცილებლობით ....

ბორის ნიკოლოზის ძე ჩიჩერინი (1828-1904) 1861 წელს დაინიშნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, რუსული სამართლის ისტორის კათედრაზე. იყო ბრწყინვალე მასწავლებელი. 1868 წელს წავიდა უნივერსიტეტიდან 1881 წელს ის აირჩიეს მოსკოვის ქალაქის თავად, მაგრამ 1883 წელს ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის შემდეგ ალექსანდრე III-მ მოხსნა თანამდებობიდან, ამის შემდეგ ჩიჩერინი ცხოვრობდა ხან ტამბოვის მამულში ხანაც მოსკოვში.

რუსეთის ისტორიაში ჩიჩერინის ძირითადი შრომები განეკუთვნება 1856 -1866 წწ. პერიოდს. 1857 წელს გამოიცა მისი დისერტაცია: ,,საოლქო დაწესებულებები რუსეთში XVII საუკუნეში" (Областные учреждения в России XVII в.), სტატიების სერია გამოვიდა კრებულში ,,Опыти по истории русского права" (1858). ბოლოს ნაშრომში ,,სახალხო წარმომადგენლობის შესახებ" (1866) (О народном представительстве) ჩიჩერინმა წარმოადგინა თავისი შეხედულებები საერო კრებებზე რუსეთში.

ფილოსოფიური მრწამსით ჩიჩერინი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი რუსი ჰეგელიანელი. განსაკუთრებით ახლო იყო ჩიჩერინისთვის ჰეგელის იდეა სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურის შესახებ. რუსეთში ისტორიკოსის აზრით ,,სახელმწიფო შეიქმნა ზემოდან, მთავრების მოქმედებით და არა მოქალაქეთა დამოუკიდებელი ძალისხმევით''.

შესაბამისად ნაშრომში ,,სასულიერო და სახელშეკრულებო სიგელები დიდი და საუფლისწულო მთავრებისა'' (Духовные и договорные грамоты великих и удельных князей) (1858) ჩიჩერინი სწორედ მთავრებს ანიჭებდა აბსოლუტურ შემოქმედებით როლს რუსულ ისტორიაში: ,,მთავრებმა შეკრიბეს დანაწილებული სლავური ტომები. მთავრებმა მემკვიდრეობის კერძო უფლებით დააქუცმაცეს ეს მათ მიერ მოპოვებული საკუთრება (ავლადიდება) და მთავრებმავე საბოლოოდ შეკრეს ერთ მთლიანად დაშლილი ნაწილები''.

თავიდანვე ჩიჩერინი უპირისპირებს ერთმანეთს მთავარს და ხალხს, მთავართა ურთიერთობების ხელშეკრულებით ხასიათს – სახალხო ცხოვრების გვაროვნულ წყობას. მთავართა ხელისუფლების დამყარება წარმოადგენდა ახალი საზოგადოებრივი წესრიგის წყაროს, რომელიც დამყარებული იყო მთავრის სამამულო (ვოტჩინური) სამემკვიდრეო უფლებებზე. სამამულო (ვოტჩინურ) პერიოდი კი უპირისპირდებოდა სახელმწიფოს, რომლის დასაწყისი პეტრე I-ს უკავშირდება.

თავის განვითარებაში რუსეთი გადის იგივე სტადიას, რასაც დანარჩენი კაცობრიობა: სისხლით ნათესაური პატრიარქალური ყოფა, სამოქალაქო საზოგადოება, დამყარებული პიროვნების თავისუფლებაზე და კერძო უფლებაზე და ბოლოს სახელმწიფო სტადია როგორც საზოგადოებრივი კავშირის უმაღლესი ფორმა.

რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიას და მის ევოლუციას ჩიჩერინი ხსნიდა გარე ძალების ზემოქმედებებით: მასთან გვაროვნული წყობიდან ვოტჩინურზე გადასვლა, ვარიაგთა დაპყრობას უკავშირდება (სწორედ დაპყრობას) რომელმაც გამოიწვია გვაროვნული ურთიერთობების და თავისუფალი თემის ლიკვიდაცია, შემოიტანა რუსულ ცხოვრებაში ,,დრუჟინული საწყისი'' და წინა პლანზე წამოწია დიდებულთა ქონებრივი ინტერესი, (რამაც გამოიწვია შინაომები). შემდეგ თათართა ბატონობამ განაპირობა ერთიანი ძლიერი, ცენტრალური ხელისუფლების დამყარება. ბოლოს პეტრეს ცვლილებებიც ასევე იყო გამოწვეული გარე დასავლეთ ევროპული კულტურის გავლენით. ამრიგად ,,სახელმწიფო რუსეთში ჩამოყალიბდა ზემოდან, მთავრობის მოქმედებით''.

დასავლეთ ევროპისთვის ჩიჩერინის მიხედვით დამახასიათებელია საზოგადოების კანონზომიერი განვითარება, რომელიც თვითონ აგებს თავის სახელმწიფოს და რჩება ძირითად მამოძრავებელ ძალად, რუსეთში კი ისტორიული პროცესები პასუხობს სხვა კანონებს. სახელმწიფოს ძლიერება აქ არის სახალხო ძალების სისუსტეში, რომელსაც მეცნიერი ამართლებდა ,,მოხეტიალე რუსეთის თეორიით''.

საზოგადოებრივი ურთიერთობების მერყეობამ გამოიწვია ის, რომ წოდებები რუსეთში ვერ ჩამოყალიბდა სათანადო სახით. ჩიჩერინი საერთოდ ამბობდა, რომ ,,კავშირის საწყისები'' დამახასიათებელია ძირითადად დასავლეთ ევროპისთვის და არა რუსეთისთვის, იქ ხალხი ერთიანდებოდა მტკიცე კავშირებში, ქმნიდა წოდებებს, ეს ფენები წარმოადგენდნენ საზოგადოებრივ საწყისს, რომელიც უპირისპირდებოდა სამეფო ხელისუფლებას, ისინი მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში შედიოდნენ, რაც განსაზღვრავდა და ზღუდავდა სამეფო

ხელისუფლებას. რუსეთში ,,ცალკეული მოხეტიალე პირები ჩაკარგული უზარმაზარ სივრცეში გამოდიოდნენ იზოლირებულად'' ამიტომ წოდებები ვერ მიიღებდნენ ისეთ განსაზღვრულ სახეს როგორც დასავლეთში''.

ნოვგოროდის და ფსკოვის თავისუფალი თემების არსებობა ჩიჩერინის აზრით ადასტურებდა, რომ უფლებები და პოლიტიკური თავისუფლებები არ იყო უცხო რუსული საზოგადოებისთვის, მაგრამ რუსეთში ისტორიული განვითარების წამყვანი ძალა იყო მონარქია. პირველად ,,საყოველთაო ხეტიალისგან'' გათავისუფლდნენ მთავრები, დასხდნენ და დაიმორჩილეს რა მომთაბარე ელემენტები დაიწყეს სახელმწიფოს შენება.

მონარქიამ შექმნა რა სახელმწიფო დაადო წოდებებს სპეციალური ვალდებულებები, ამრიგად სახელმწიფომ აქცია თავისუფალი ადამიანები ყმებად. (თავის მსჯელობაში ჩიჩერინი მისდევს დაყმევება-გათავისუფლების თეორიას, რომლის მიხედვით სახელმწიფო ქმნის წოდებებს და აყმევებს მას შემდეგ კი როცა ამის აუცილებლობა ქრება ათავისუფლებს). წოდებათა დაყმევებას სახელმწიფოს მიერ ჩიჩერინი ასაბუთებდა ხალხის მთელი ძალების დაძაბვის აუცილებლობით შინაომების უწესრიგობების, ანარქიის და სხვათა გადასალახად რაც ასე დამახასიათებელი იყო ვოტჩინური რუსეთისთვის.

XVIII საუკუნისთვის რუსეთი მომწიფდა გვაროვნული და სამოქალაქო ურთიერთობების გადმონაშთების ლიკვიდაციისა და სწორ სახელმწიფოებრივ გზაზე დასადგომად, ამიტომ ჩიჩერინისთვის ნათელი იყო პეტრე I-ის მნიშვნელოვანი როლი რუსეთის ისტორიაში. პეტრეს შეფასებაში ჩიჩერინი უპირისპირდება სლავიანოფილებს. სხვა საკითხი რომლის გარშემოც ეს ისტორიკოსი - სახელმწიფო სკოლის წარმომადგენელი - შევიდა სლავიანოფილებთან პოლემიკაში ეხებოდა თემს. ჩიჩერინი უარყოფდა აზრს თემის როგორც სპეციფიკური რუსული მოვლენის შესახებ. მან აჩვენა იგივე ტერიტორიული თემი (ობშინა) იყო მაგალითად გერმანული მარკა. ამასთან მეცნიერი საუბრობდა აუცილებლობაზე განესხვავებინათ XIX საუკუნის რუსული საგლეხო თემი და თემი ძველ რუსეთში. თუმცა ჩიჩერინს მხედველობაში არ ჰქონდა თემის ევოლუცია არამედ საუბრობდა სხვადასხვა თემებზე რომლებიც დამახასიათებელი იყო რუსეთის ისტორიული განვითარების განსაზღვრული ეტაპისთვის. თავიდან მისი სიტყვებით იყო პატრიარქალური თემი, რომელიც შეიქმნა თავისით, ხალხთა ბუნებრივი კავშირით შემდეგ, არსებობდა ვოტჩინური თემი დადგენილი მთავრების მიერ, ბოლოს ჩნდება სახელმწიფო თემი შექმნილი სახელმწიფოს მიერ და ა.შ.

<u>სახელმწიფო სკოლის მეორე თაობა</u>

სახელმწიფო სკოლის მეორე თაობას შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიკოსები რომლებიც 1860-90-იან წლებში ქმნიდნენ თავიანთ ნაშრომებს. მათი ყურადღების ცენტრში რჩებოდა საკითხები სახელმწიფო ხელისუფლების განვითარების, სახელმწიფო დაწესებულებების, კანონმდებლობის და სამართლებრივი ნორმების განვითარების, რამაც მათი რწმენით განსაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე სახელმწიფოს გაჩენის მომენტიდან.

შეგვიძლია დავასახელოთ პეტებურუგის უნივერსიტეტის რუსული სამართლის პროფესორები ვასილი ივანეს ძე სერგეევიჩი, ალექსანდრე დიმიტრის ძე გრადოვსკი.

სახელმწიფო სკოლის ზოგადი ევოლუცია მიდიოდა იმ მიმართულებით, რომელიც მას აქცევდა იურიდიულ სკოლად. რუსეთის წარსულის ფართო ისტორიული ტილოების შექმნიდან და ახალი მეთოდოლოგიური საფუძვლების ძიებიდან, გადავიდნენ კონკრეტიკაზე - შრომებზე სამართლის და სახელმწიფო დაწესებულებების ისტორიის შესახებ.

სერგეი მიხეილის ძე სოლოვიოვის (1820-1879) ისტორიული კონცეფცია.

სოლოვიოვი იყო რევოლუციამდელი რუსეთის უდიდესი ისტორიკოსი. მომავალი მეცნიერი დაიბადა 1820 წლის 5 მაისს სასულიერო პირის ოჯახში. ბავშვობიდან სოლოვიოვს უდიდესი ინტერესი ჰქონდა ისტორიისადმი და 13 წლის ასაკში უკვე 13 ჯერ ჰქონდა წაკითხული კარამზინის ისტორია, ბავშვობიდანვე იყო საოცრად რელიგიური და არცერთ საქმეს არ იწყებდა ლოცვის გარეშე. დაწყებითი განათლება სოლოვიოვმა მიიღო სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა გიმნაზია და მოეწყო მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ლექციებს ერთის მხრივ პროფესორებისგან, რომლებმაც გაიარეს სტაჟირება საზღვარგარეთ: ანტიკოსი დ. კრიუკოვი, სამართალმცოდნეები პ. რედკი, ნ. კრილოვი, ეკონომისტი ჩივილევი. ისტორიკოსი და იურისტი კაველინი ისტორიკოს-მედიევისტი ტ. გრანოვსკი. მეორეს მხრივ უსმენდა ,,უვაროვის პარტიის'' მასწავლებლებს, ოფიციალური ხალხოსნობის თეორიის აპოლოგეტებს: მ. პოგოდინს, ს. შევირევს ი. დავიდოვს. უნივერისტეტის შემდეგ სოლოვიოვმა მიიღო ოჯახის მასწავლებლის თანამდებობა გრაფ სერგეი გრიგორის ძე სტროგანოვთან. მასთან ერთად 1842-1844 წ. იმყოფებოდა საზღვარგარეთ, სადაც შეძლო მოენახულებინა ბიბლიოთეკები და უნივერსიტეტები, მოესმინა ცნობილი დასავლელი ისტორიკოსების ლექციები (ლეოპოლდ ფონ რანკე, ფრანსუა გიზო, ჟიულ მიშლე, ფრიდრიხ კრისტოფ შლიოსერი). ამ პერიოდში სოლოვიოვი სერიოზულად გაიტაცა ჰეგელის ფილოსოფიამ, მაგრამ ,,დაძლია ეს შემოტევა'' და დარჩა ისტორიის ერთგული.

1845 წელს სოლოვიოვმა დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია ნოვგოროდის და დიდი მთავრების ურთიერთობებზე, ხოლო 1847 სადოქტორო რომელიც ეხებოდა რიურიკის სახლის მთავრების ურთიერთობებს (История отношений между русскими князьями Рюрикова дома) ამ დროს ის ხდება მოსკოვის უნივერისტეტის პროფესორი, შეცვალა კათედრიდან წასული პოგოდინი (რომელსაც სხვათაშორის საკმაოდ კრიტიკულად უდგებოდა)

1848 წელს სოლოვიოვმა დაიწყო წერა ,,რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან'' რომელიც გახდა მისი უმთავრესი ნაშრომი. ამ თხზულების გამოსვლა იყო მოსკოვის უნივერსიტეტის კათედრის პრესტიჟის საქმე, რომელსაც მეთაურობდა ახალგაზრდა პროფესორი. თვითონ ავტორი ასე აღწერს ნაშრომზე მუშაობის დაწყებას ,,დამხმარე სახელმძღვანელო არ არსებობდა, კარამზინი ყველას თვალში მოძველდა, კარგი კურსის შესადგენად საჭირო იყო წყაროებზე მუშაობა ... თავიდან მე მეგონა, რომ რუსეთის ისტორია იქნებოდა დამუშავებული საუნივერსიტეტო კურსი, მაგრამ როცა საქმეს შევუდექი აღმოვაჩინე, რომ კარგი კურსი შეიძლება იყოს მხოლოდ დაწვრილებითი დამუშავების შედეგი, რომელსაც უნდა მიუძღვნა მთელი ცხოვრება. მე გადავწყვიტე გადამედგა ეს ნაბიჯი და დავიწყე თავიდან, რამდენადაც როგორც უკვე ითქვა წინამორბედი შრომები არ იყო დამაკმაყოფილებელი''. გარდა აღნიშნულისა მრავალტომიანი ნაშრომის გამოსაცემად არსებობდა მერკანტილური მიზეზებიც, სოლოვიოვის მრავალსულიანი ოჯახის სარჩენად (12 შვილი) პროფესორის ხელფასი არ იყო საკმარისი, ამიტომ დამატებითი შემოსავალი დროული იქნებოდა. ,,ისტორიაზე'' მუშაობა მიმდინარეობდა რეგულარულად, 1851 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს გამოდიოდა თითო ტომი, ბოლო 29-ე ტომი გამოვიდა უკვე ისტორიკოსის გარდაცვალების შემდეგ. თხრობა მასში მოყვანილი იყო XVIII საუკუნის II ნახევრამდე.

ფუნდამენტურ ნაშრომთან ერთად სოლოვიოვმა გამოსაცემად მოამზადა სხვა რიგი გამოკვლევები რუსეთის ისტორიაზე: ,,საჯარო საკითხავი პეტრე დიდის შესახებ'' ,,იმპერატორი ალექსანდრე I. პოლიტიკა და დიპლომატია'' ,,პოლონეთის დაცემის ისტორია'' და ისტორიოგრაფიაზე: ,,რუსეთის ისტორიის მწერლები XVIII სკ'' ,,კარამზინი და მისი რუსეთის სახელმწიფოს ისტორია'' ,,შლიოცერი და ანტირუსული მიმართულება''. დიდი ხნის განმავლობაში სოლოვიოვი ასწავლიდა უნივერსიტეტში, პერიოდულად ირჩეოდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და უნივერსიტეტის რექტორადაც. 1870 წ. გახდა იარაღის პალატის დირექტორი. 1872 წელს აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, სიცოცხლის ბოლოს ის გახდა რუსეთის ისტორიის და სიძველეების მოსკოვის საზოგადოების თავმჯდომარე.

სოლოვიოვის უჩვეულო შრომისუნარიანობა აიხსნება მკაცრი თვითდისციპლინით და ჩვევით არ დაეკარგა ფუჭად არცერთი წუთი. მეცნიერის ჩვეულებრივი სამუშაო დღე იწყებოდა დილის 6 საათზე, მუშაობდა 9 საათამდე შემდეგ სვამდა ჩაის, 10 საათზე მიდიოდა უნივერსიტეტში ან არქივში, სახლში ბრუნდებოდა 4 საათისთვის, სადილობდა ზოგჯერ ისვენებდა, კითხულობდა მსუბუქ ლიტერატურას ან ცოტახნით ეძინა, შემდეგ კვლავ მუშაობდა და 11 საათზე იძინებდა.

პოლიტიკური შეხედულებებით სოლოვიოვი იყო ზომიერი ლიბერალი- მონარქიის, თანდათანობითი რეფორმების და სოციალური კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების მომხრე. მისი აზრით ,,ხალხები თავიანთ ისტორიაში არ აკეთებენ ნახტომს'' და რევოლუციები ეს სხვა არაფერია თუ არა ,,ავადმყოფური შეტევა''

სოლოვიოვის ისტორიული კონცეფიის მთავარი თავისებურება იყო აზრი ადრინდელი ფორმებისგან სახელმწიფოს ორგანული გადაზრდის შესახებ. თუ ავიღებთ შერბატოვის ან კარამზნის ,,ისტორიას'' თვითონ ტომებად, ნაწილებად, წიგნებად დაყოფაში ნათლად ჩანს მასალის შიდა დაყოფა, ამასთან რუსეთის ისტორიის ასეთი სქემების ძირითადი ნაკლი სოლოვიოვის აზრით იყო პერიოდებს შორის კავშირის არქონა. თვითონ ის ორგანული, კანონზომიერი განვითარების იდეის მომხრედ გამოდიოდა.

სოლოვიოვი არ იყო ისტორიის ყველანაირი პერიოდიზაციის მოწინააღმდეგე, მაგრამ ადრინდელმა ეპოქებად დაყოფამ, დამყარებულმა გარე ნიშნებზე, რომელსაც არ ჰქონდა შინაგანი კავშირი, დაკარგა თავისი აზრი. ისინი შეცვალა განვითარების სტადიებმა. პერიოდიზაცია საჭიროა, მაგრამ პერიოდებად დანაწევრებამ არ უნდა დაფაროს მათ შორის არსებული შინაგანი კავშირი, აქედან გამომდინარე მეცნიერი გვთავაზობდა რუსეთის ისტორიის საკუთარ დაყოფას შემდეგ ეტაპებად:

I. გზა გვაროვნული ურთიერთობებიდან სახელმწიფოსკენ. ეს ეტაპი იყოფოდა რამდენიმე ქრონოლოგიურ მონაკვეთად: 1) რიურიკიდან ანდრია ბოგოლუბსკამდე (862-1174 წწ.): ნათესაური ურთიერთობების ბატონობა მთავართა ოჯახის წევრებს შორის (იმის გათვალისწინებით, რომ გვაროვნული ურთიერთობები არსებობდა სლავებთან მთავრების მოწვევამდეც) 2) ანდრია ბოგოლუბსკიდან ივანე კალიტამდე (XII სკ ნახ. 1340 წელი): გვაროვნული და სახელმწიფო საწყისების ბრძოლის პერიოდი. 3) ივანე კალიტადან - ივანე III-მდე (XIV სკ. შუაწლები – 1505 წელი): რუსეთის გაერთიანების დრო მოსკოვის გარშემო 4) ივანე III-დან თევდორე ივანეს ძემდე (XVI სკ დასაწყისი – 1598 წელი) გვაროვნული ურთიერთობიდან სახელმწიფო

ურთიერთობებზე საბოლოო გადასვლის დრო. 5) XVI სკ ბოლო - XVII სკ დასაწყისი: ,,საშინელი არეულობები'' და დინასტიის ცვლა გამოყოფს რუსეთის ისტორიის პირველ პერიოდს პეტრეს რეფორმებისგან.

II. რუსეთის ევროპულ სახელმწიფოთა სისტემაში შესვლის პერიოდი (XVII საუკუნის I ნახევარი - XVIII საუკუნე) პეტრეს ცვლილებების მომზადება და გატარება.

III. ახალი დრო რუსეთის ისტორიაში (XVIII საუკუნის II ნახევარი) განიხილება როგორც პეტრეს ცვლილებების შედეგი, როცა გაჩნდა ,,ადრე მომზადებულ სხეულში სულის ჩადგმის საჭიროება'', შედეგად ,,განმანათლებლობამ მოიტანა თავისი აუცილებელი ნაყოფი – საერთო შემეცნებამ გამოიწვია თვითშემეცნება'', ამიტომ 1860 წლის რეფორმები ავტორის მიერ ფასდებოდა როგორც პირდაპირი გაგრძელება და დასრულება პეტრეს ცვლილებებისა.

ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სოლოვიოვს გამოჰყავდა ისტორიული განვითარების სამი პირობიდან: ,,სამ პირობას –წერდა იგი – აქვს განსაკუთრებული გავლენა ხალხის ცხოვრებაზე: ქვეყნის ბუნება, სადაც ის ცხოვრობს, ტომის ბუნება რომელსაც ის ეკუთვნის, გარეშე მოვლენების მსვლელობა''.

ამასთან სოლოვიოვი გამოდიოდა ისტორიის მსვლელობაზე ბუნებრივი პირობების გავლენის გადაჭარბებული შეფასების წინააღმდეგი. აღნიშნავდა, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად ხდება უკუ პროცესი - ,,ბუნებრივი პირობების ცვლილება, ადამიანთა საქმიანობის გავლენით''. რუსეთისა და დასავლეთის სხვაობა მას გამოჰყავდა სწორედ ბუნებრივი გარემოს განსხვავებისგან. დასავლეთში ,,ქვა'', მთები ყოფდა ტერიტორიებს და ამან თავიდანვე უზრუნველყო სიმტკიცე სახელმწიფო წარმონაქმნის, მყარი ფეოდალური სასახლეებით და საქალაქო სიმაგრეებით, ჩვენთან ,,ხე'', ტყე - არამყარი ხის შენობები და ქალაქის მესერები, არ ქმნიდა მტკიცე სამკვიდრებელს.

მეორე რგოლი –ტომის ბუნება – სოლოვიოვი ცდილობდა მისთვის მიეცა უფრო ფართო, ისტორიული არა სუფთა ეთნოგრაფიული ხასიათი.

რაც შეეხება გარე მოვლენებს სოლოვიოვის წარმოდგენაში ეს ყველაფერი არის ისტორიული სინამდვილის მრავალსახეობა მის შინაგან ურთიერთგანპირობებულობაში. ისტორიკოსი ცდილობდა ისტორიული პროცესის კანონზომიერება აღმოეჩინა არა რაიმე გარე ძალის მოქმედებაში, არამედ თვითონ ისტორიულ განვითარებაში (აღებული მის შინაგან მთლიანობაში). ამიტომ ისეთ აშკარა გარეშე ზეგავლენას როგორიცაა მთავრების მოწვევა, ის ხსნიდა რუსული ისტორიის ბუნებრივი განვითარებით, ხოლო მისი საყვარელი სიტყვები რომელიც გამოხატავდა ისტორიის კანონზომიერ იდეას იყო სიტყვები ,,ბუნებრივად და აუცილებლად''.

სოლოვიოვის მიხედვით სლავებთან გვაროვნული ურთიერთობების ბუნებრივი განვითარება აუცილებელს ხდიდა უფრო მაღალ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე გადასვლას, მაგრამ სლავების ერთგულება ნათესაური კავშირების მიმართ ხელს უშლიდა მათი გარემოდან საკუთარი მთავრების გამოყოფას და ამიტომ მოიწვიეს გარედან. ამრიგად შინაგანმა სლავური წესის კანონზომიერმა ევოლუციამ გამოიწვია გარე ნორმანული ძალის გაჩენა.

მთავართა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გვაროვნული ურთიერთობები არ გამქრალა, მოსულმა ნორმანებმა რომლებიც გახდნენ ჩანასახოვანი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები, თვითონ შეითვისეს გვაროვნული კავშირების საფუძვლები, რომელმაც

გამსჭვალა მთავართაშორისი ურთიერთობები და მემკვიდრეობის წესი. ისტორიკოსებს ადრეც აინტერესებდა მემკვიდრეობის ოჯახური პრინციპი მამიდან შვილზე კიევის რუსეთში რატომ ეხლართებოდა ხშირად გვაროვნულს (ნათესაურს) ძმიდან-ძმაზე ან ბიძიდან ძმისწულზე? სოლოვიოვმა ახსნა მსგავსი მემკვიდრეობის წესი გვაროვნულ სამართლის ბატონობით, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ მთელი რუსული მიწა ეკუთვნოდა რიურიკოვიჩების მთელ გვარს. საქალაქო ოლქები იყვნენ თითქოსდა რანჟირებული თავისი მნიშვნელობის მიხედვით: პირველ ადგილზე კიევი, შემდეგ ჩერნიგოვი, შემდეგ - პერეიასლავლი და ა.შ. უფროსი გვარში იკავებდა კიევის ტახტს, შემდეგი ჩერნიგოვის, მესამე პერეიასლავლის. როცა კვდებოდა კიევის მთავარი, მისი მემკვიდრე ხდებოდა ჩერნიგოვის მთავარი და ა.შ. ძველ რუსეთში მემკვიდრეობის ამ სისტემას სოლოვიოვი უწოდებდა ,,კიბეზე ასვლას" (лествичным восхождением).

მთავართა ხელისუფლების გვაროვნული ურთიერთობები წარმოადგენდა მთელ საზოგადოებაში არსებული გვაროვნული ურთიერთობების ასახვას. კიევის რუსეთში უფროსობის იგივე წესი ჩანს ახალი ქალაქების ძველთან ურთიერთობაშიც (ახლად აშენებული ქალაქები ძველთან მიმართებაში იყვნენ როგორც უმცროსი და უფროსი). ამრიგად მთელი ძველი რუსეთი წარმოადგენდა საზოგადოებას დამყარებულს გვაროვნულ წყობაზე, თუმცა მასში უკვე არსებობდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ელემენტები.

სოლოვიოვის გვაროვნული თეორია არსებითად განსხვავდებოდა ევერსის თეორიისგან. პირველთან განვითარება მიდიოდა გვარის და გვაროვნული მფლობელობისგან ოჯახისკენ და ოჯახური სამართლისკენ (უფლებებისკენ). ევერსთან პირიქით - ოჯახიდან გვარისკენ. გვაროვნული ურთიერთობების გადაზრდა ოჯახურში და შემდეგ სახელმწიფოებრივში სოლოვიოვთან შემდეგი სახით ხდება: რიურიკოვიჩების გვარი, რომელიც ფლობდა რუსულ მიწებს, იზრდებოდა რა, დაიწყო დაქუცმაცება ოჯახებად, რომელთაგან ყოველი ფლობდა რუსეთის მიწების ნაწილს (ასე ანდრეი ბოგოლუბსკიმ უარი თქვა კიევში წასვლაზე და დაჯდა ვლადიმირში). სამამულო (ვოტჩინური) საკუთრების უფლების გაჩენა არის სასაზღვრო მომენტი ძველი რუსეთსა და შუასაუკუნეების რუსეთს შორის. ივანე კალიტას დროს ახალი წესრიგი დაინერგა რუსულ ნიადაგზე, ახლა უკვე მოსკოვის სამთავრო იყოფა მთავრის შვილებს შორის, ამასთან მათი მოძრაობა ერთი საუფლისწულო მამულიდან (Удел) მეორეში უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ არ იყო გათვალისწინებული - მოსკოვის სამთავროს საუფლისწულო მამულები ხდება მემკვიდრეობითი სამფლობელოები. სახელმწიფოებრივი ურთიერთობების სრული განმტკიცებისთვის აუცილებელი იყო აღნიშნული უფლების ლიკვიდაცია. ივანე III-ის დროიდან ხდება ,,ველიკოკნიაჟესკი" მიწების ზრდა. ივანე მრისხანის და პეტრე I შორის პერიოდში საუფლისწულო მამულების მთავრები ხდებიან უბრალო მიწისმფლობელები, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ სახელისუფლებო ფუნქციები თავიანთ მამულებში. სუვერენის სახით ახლა გამოდიოდა ხელმწიფე რომელიც თავის ტახტს გადასცემდა ერთ-ერთ მემკვიდრეს, ისე რომ არ აქუცმაცებდა სახელმწიფოს შვილებს და ნათესავებს შორის. ამრიგად საბოლოოდ მკვიდრდება სახელწიფოებრივი საწყისები და ნადგურდება გვაროვნული.

მიიჩნევდა, რომ გზას გვარიდან სახელმწიფომდე გადიოდა როგორც რუსეთი ისე დასავლეთის ქვეყნები, თუმცა სოლოვიოვი აღნიშნავდა რუსული ისტორიული პროცესის თავისებურებას. ევროპული ქვის და რუსული ხის გარეგნული წინააღმდეგობა ღრმავდებოდა

იმითაც, რომ აღმოსავლეთ-ევროპის დაბლობზე მიმდინარეობდა ბრძოლა ტყესა და სტეპს შორის. თავიდან რუსეთი თავს იცავდა სტეპისგან და მიდიოდა ჩრდილოეთით, ტყეში, შემდეგ როლები შეიცვალა და ტყე გადავიდა შეტევაზე. მოსახლეობის მუდმივი მოძრაობა სოლოვიოვმა ასახა ცნობილი ფრაზით: ,,რუსეთის ძველი ისტორია ესაა ქვეყნის ისტორია რომელიც კოლონიზაციას ეწევა". (კოლონიზირდება) ხალხთა მასის ეს ,,თხევადი მდგომარეობა" წარმოადგენდა მის სისუსტეს და მიჰყავდა იმ განსაკუთრებული როლისკენ რომელსაც სახელმწიფო თამაშობდა საზოგადოებრივი ძალების ორგანიზებაში.

სახელმწიფოს განვითარების შინაგანი მიზეზების ძიებას სოლოვიოვი იქამდე მიჰყავდა, რომ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მონღოლთა შემოსევას რუსეთის ისტორიაში.

უზარმაზარმა სახელმწიფომ, მეჩხერი მიწათმოქმედი მოსახლეობით, ამასთან იძულებულმა ეწარმოებინა მძიმე ბრძოლები მეზობლებთან, იმყოფებოდა რა გამოუვალ მდოგმარეობაში მიმართა უკიდურეს ზომას –ყველა წოდების დაყმევებას. მემამულეები ვალდებული იყვნენ სახელმწიფოს წინაშე სამხედრო სამსახურით, ისინი იკვებებოდნენ მიწიდან და აწარმოებდნენ მუდმივ ბრძოლას მუშა ხელის გამო, რომლებიც ესწრაფოდა გაქცეულიყო უფრო ძლიერ მმართველთან –აქედან მომდინარეობდა გარდაუვალი დაყმევება გლეხების, რათა შენარჩუნებულიყო თავადაზნაურული ჯარის ბრძოლისუნარიანობა. (სამხედრო-ფისკალური მოსაზრებები).

სადღაც XVI შუაწლებში (მრისხანეს მეფობა) პეტრე I-ის გამეფებამდე სოლოვიოვის მიხევით მოხდა საბოლოო გადასვლა გვარიდან სახელმწიფოზე ან სხვა სიტყვებით ,,გრძნობის ასაკიდან" ,,გონების ასაკზე" (ამასთან ისტორიკოსი განსაკუთრებით ჩერდება იმაზე, რომ რუსეთმა დაიგვიანა გადასვლა სიმწიფის ასაკზე, მაგრამ ეს არ მეტყველებს მის ჩამორჩენილობაზე). ბრძოლა წარმავალი გვაროვნული ურთიერთობების წინააღმდეგ, რომლის მატარებლებიც იყვნენ ბოიარები ამით სოლოვიოვი ხსნიდა ივანე მრისხანეს პოლიტიკას რომელმაც მიაყენა გამანადგურებელი დარტყმა გვაროვნული არისტოკრატიის მისწრაფებებს ხელისუფლებისკენ.

იგივე პოზიციით სოლოვიოვი უდგებოდა პეტრეს რეფორმების შეფასებასაც, ის თვლიდა რომ XVIII სკ. დასაწყისის ცვლილებები იყო კანონზომიერი და ორგანული, აღმოცენდა რუსულ მიწაზე, თვითონ პეტრე იმიტომაა დიდი, რომ დააკმაყოფილა ხალხის ნამდვილი საჭიროება.

1840-60-იან წლების ყველა ისტორიკოს მედასავლეთეს შორის სოლოვიოვი იკავებს ყველაზე მაღალ მდგომარეობას, როგორც ისტორიული ფაქტების და ურთიერთკავშირების მკვლევარი.